

**პაპი იოანე პავლე II-ის
და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II -ის
ერთობლივი სამშვიდობო მიმართვა**

მისი უწმიდესობა რომის პაპი იოანე პავლე II და მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ქალაქ თბილისში ძმური შეხვედრის დროს, მიაპყრობენ რა თავიანთ მზერას ქრისტეს, მშვიდობის მეუფეს, სამშვიდობო მიმართვას უგზავნიან ქვეყნების მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რელიგიურ ლიდერებსა და კეთილი ნების ყველა ადამიანს.

მოგმართავთ საქართველოდან, კავკასიიდან, განსაკუთრებული ისტორიული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონიდან, რომელიც აერთიანებს ევროპასა და აზიას და წარმოადგენს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შეხვედრის ადგილს. დღეს ამ რეგიონში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში, სიტუაცია ძალზე რთულია. აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა ხიფათს უქმნის მსოფლიო მშვიდობას და მოითხოვს გადამჭრელ ზომებს კაცობრიობის მხრიდან.

მშვიდობა უზენაესი წყალობაა, რომლის გარეშეც სიცოცხლეს თავისი სრული მნიშვნელობა ეკარგება და განვითარებაც შეუძლებელი ხდება. ადამიანის გული ესწრაფვის ამ უზენაეს სიკეთეს და ხალხებს სურთ თანხმობაში ცხოვრება. დღევანდელი მსოფლიო ერთი დიდი სოფელია. არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ დაპირისპირება გასცდეს ერთი რეგიონის ფარგლებს და გადაედოს სხვა ქვეყნებს, რაც ქმნის ახალი ომების საშიშროებას.

ამ უმნიშვნელოვანეს ხანაში, მსოფლიომ უნდა მოიკრიბოს თავისი სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ძალები, რათა თავიდან აიცილოს მსოფლიო კატასტროფა. ტერორიზმი ახალ და რეალურ საფრთხედ ექცა მსოფლიო მშვიდობას. ამიტომ, აუცილებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება.

მოვუწოდებთ ყველას, ვინც ისმენს ჩვენს მიმართვას, გამოიჩინონ სიბრძნე და ნებისყოფა, რათა იხსნან მათ ზრუნვას მინდობილი ჩვენი პლანეტა ომის საფრთხისაგან და შექმნან პირობები იმისთვის, რომ მესამე ათასწლეულში სუფევდეს ჭეშმარიტად „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

თბილისი, 8 ნოემბერი, 1999 წ.

მისი უწმიდესობა პაპი
იოანე პავლე II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ილია II